1.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, სკვერებისა და გარე განათების მოვლა-შენახვა. ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში გზების თოვლისგან გაწმენდა.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ „ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის“ დაფინანსება.

1.2.4. საყრდენი კედლის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ჭიათურის მთავორიანი მდებარეობის გამო მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საყრდენი კედლის აღდგენა აღმაშენებლის, წმ. გიორგის და თბილისის ქუჩებზე გოგებაშვილის ქუჩაზე დაზიანებული საყრდენი კედლების რეაბილიტაცია. 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება ჭიათურაში კოსტავას, აღმაშენებლის, ქუთაისის, მუხამის და საბჭოს ქუჩების საყრდენი კედლების რეაბილიტაცია. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით განხორციელდება გოგებაშვილის ქუჩის საყრდენი კედლების რეაბილიტაცია. განხორციელდება სახელშეკრულებო დავალიანებების გასტუმრება.

განხორციელდება საყრდენი კედლის მოწყობა კუპატაძის ქუჩაზე და საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება შემდეგი მონაკვეთების:

საყრდენი კედელი 120X3მ ტოლსტოის ქუჩაზე პირველი შესახვევის; მდინარე ყვირილას კალაპოტის მარცხენა სანაპიროს კედლისა და მოაჯირის; ქალაქ ჭიათურაში: აღმაშენებლის ქ. №3-ის მიმდებარედ, მღვიმევის ქ.№19-ის მიმდებარედ, თბილისის ქ. №7-ის მიმდებარედ, გაგარინის ქ.№33-ის მიმდებარედ, ფრანგიშვილის ქ.№33-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქ.№55-ის შესახვევში, თბილისის ქ.№3-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქ.№52-ის მიმდებარედ, ფრანგიშვილის ქ.№15-ის მიმდებარედ, ერისთავის ქ.№19-ის მიმდებარედ, 9 აპრილის ქუჩაზე №105 და №107-ის მიმდებარედ, წმ.გიორგის ქ.№43-ის მიმდებარედ, ფრანგიშვილის ქ.№37-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№124-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№204-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№119-ის მიმდებარედ, თბილისის ქ. №41,43,45-ის მიმდებარედ, ერისთავის ქ.№22-ის მიმდებარედ, ტყაბლაძის ქუჩაზე სავაჭრო ცენტრის თავზე, გაბიონის მოწყობის ჭავჭავაძის ქ.№55-ის მიმდებარედ, ბაქრადის ქ.№24-ის მიმდებარედ, საბჭოს ქუჩის მე-2 შესახვევის №10 სახლის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველას ქ.№2-ის მიმდებარედ, აბაშიძის ქ.№57-ის მიმდებარედ, ტყაბლაძის ქ.№5-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქუჩის დასაწყისში, თავისუფლების ქუჩაზე, გოგებაშვილის ქ.№6-ის მიმდებარედ, ნინოშვილის ქ.№6-ის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქ.№225-ის მიმდებარედ, საბჭოს ქ.№4-ის მიმდებარედ, ნინოშვილის ქ.№6-ის მიმდებარედ, ბათუმის ქ.№4-ის მიმდებარედ, ქუთაისის ქ.№46-ის მიმდებარედ, წმინდა გერმანეს ქუჩაზე მოქალაქე ამირან გველესიანის სახლის მიმდებარედ, ცხოვრებაძის ქ.№27-ის მიმდებარედ, მღვიმევის ქუჩის მეორე შეს.№14-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქ.№51-57-ის მიმდებარედ, მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე, პრესის სახლის წინ მდ. ყვირილას კალაპოტის გასწვრივ, პატარიძის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის, ტყაბლაძის ქ.№7-ის მიმდებარედ, ტყაბლაძის ქ.№6-ის მიმდებარედ, ჩაჩანიძის ქ.№25-ის მიმდებარედ, თბილისის ქ.№98-ის მიმდებარედ, სოფელ ზედა ჭალოვანში მოქალაქე სიმონ ჯაჯანიძის სახლთან, სოფელ სალიეთში მოქალაქე ნუნუ ჯოხაძის საცხოვრებელ სახლთან; სოფელ სალიეთში მოქალაქე გიორგი მოდებაძის



სახლთან; სოფელ სალიეთში მოქალაქე გურამ მოდებაძის სახლის მიმდებარედ, სოფელ სალიეთში მოქალაქე მაია მოდებაძის სახლის მიმდებარედ, სოფელ სალიეთში მოქალაქე ზურაბ მოდებაძის სახლის მიმდებარედ, სოფელ მორძგვეთში მოქალაქე ნელი ღვალაძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, სოფელ მორძგვეთში მოქალაქეების გიგლა ღვალაძის და დარეჯან ღვალაძის საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ, სოფელ ცხრუკვეთში მოქალაქე ნინო გურულის სახლის მიმდებარედ. ჭიათურაში კუპატაძის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობა; ჭიათურაში აღმაშენებლის ქუჩაზე 25-ის დასახლებისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე დაახლოებით 30 გრძივი მეტრი საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

სოფელ წინსოფელში ელექტრო ქვესადგურში მიმავალ გზაზე დაახლოებით 50 გრძივი მეტრი საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლების აღდგენა.

1.2.5. მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05)

მუნიციპალური ამხანაგობების მხარდაჭერა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა, ფასადების რეაბილიტაცია და სახურავი მასალის შექმნა ქალაქის ტერიტორიაზე საბინაო ამხანაგობებისათვის გადასაცემად.

1.2.5.1. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა. ვინაიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობებთან თანადაფინანსების ლიფტის აღდგენის ღირებულების 10%-ის დაფინანსება უნდა განხორციელდეს მათ მიერ) პრინციპით, აღდგენა იმ მრავალსართულიანი სახლის ლიფტი, რომელიც აღნიშნულ პირობას დააკმაყოფილებს. 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელდება ლიფტების აღდგენა ცხოვრებაძის ქ.№36-ში; აღმაშენებლის ქ.№91 და №100-ში.

1.2.5.2. საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენა, სახურავი მასალის შექმნა (პროგრამული კოდი 03 02 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სახურავი მასალის შექმნა ქალაქის ტერიტორიაზე საბინაო ამხანაგობებისათვის გადასაცემად.

1.2.5.3. საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ.ჭიათურაში გიორგაძის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების №1,2,3,4,5,6,7,8,9 ფასადების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ქ.ჭიათურაში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების №3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14 ფასადების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ქ.ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების №5,7,9 ფასადების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

დაგეგმილია: ქ.ჭიათურაში გიორგაძის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების №1,2,3,4,5,7,8,9 ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ.ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების №5,7,9,22,24,29 ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოები.

1.2.5.3. საცხოვრებელი სახლების გადანომვრა (პროგრამული კოდი 03 02 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭიათურაში ნინოშვილის ქუჩის გადანომვრა.

1.2.6. გარე განათების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე-განათების მოწყობა ქალაქის ტერიტორიაზე დარჩენილი ქუჩებისა და ჩიხების. 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის აღდგენა საჩხერის გზატკეცილზე, ჯრუჭულის ხიდიდან- ნინოშვილის ქუჩამდე, ჭიათურაში შემდეგი ქუჩების დარჩენილი მონაკვეთების: წმინდა გიორგის №31,37,46; აღმაშენებლის, ბარათაშვილის, გოგებაშვილის, თავისუფლების 9 აპრილის, ჭანტურიას, ქუთაისის, ნინოშვილის, ცხოვრებაძის, ნიკოპოლის, ერისთავის, ფრანგიშვილის, თბილისის, თავისუფლების, გაგარინის და წინსოფლის დამაკავშირებელი გზის. განხორციელდება სახელშეკრულებო დავალიანებების გასტუმრება.



აგრეთვე დაგეგმილია საშეჯარდნოს კლდის დეკორატიული განათების მოწყობისათვის საპროექტო სამუშაოები.

1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ჯანსაღი დასასვენებელი გარემოს შექმნა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა.

1.3.1. მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე იაშვილისა და ნინოშვილის (ე.წ. სიგულდას პარკი) ქუჩებზე სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია. განხორციელდება გასული წლის სახელშეკრულებო დავალიანებების გასტუმრება.

განხორციელდება ნაგუთის დასახლებაში ტაბიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სოფელ წინსოფელში მემორიალის ალგენის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ნაგუთის დასახლებაში მემორიალის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ნაგუთის დასახლებაში ეკლესიის მიმდებარედ პარკის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, სკვერებში და ეზოებში განსათავსებელი ძელს სკამების შექმნა (50 ცალი), საჩრდილობელი ფანჩატურის (10 ერთეული ტრენაჟორით 4 კომპლექტი) მოწყობა.

დაგეგმილია: ჭავჭავაძის ქუჩაზე თეატრის წინ არსებული სკვერის რეაბილიტაცია (თანადაფინანსება); ზედა ნაგუთში არსებული წრის შემოღობვა-რეაბილიტაცია.

1.3.2. ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების; კიბეების; მემორიალური დაფების და სხვათა მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

განხორციელდება მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ყაზბეგის ქუჩაზე ყოფილი კინოთეატრის წინ მოედნის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ნინოშვილის ქუჩაზე 25-ის საბაგირო სადგურის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

1.3.3 ქვათაცვენის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნინოშვილის ქუჩის №1-დან – საჩხერის გზატკეცილი - ჯრუჭულის ხიდამდე არსებული ფერდობებიდან მოძრული ქვების ჩამოსუფთავება.

1.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასრულება და დარჩენილი ნაშთის ფარგლებში საკრებულოს დადგენილების შესაბამისად მოხდება პროექტების განხორციელება. დაგეგმილია სოფელ წყალშავში იაკობიძეები-კაპანაძეების უბანში სარიტუალო დარბაზებისათვის ჭერის მოწყობა.

2.0. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

2.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ – „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“, რომელიც აერთიანებს 28 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1650-დე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა



ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

2.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში სუბსიდია მიეცემა ა(ა)იპ – ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლურ სკოლას. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის N1994 განკარგულებით დაგეგმილია სოფელ ვაჭევის სკოლის რეაბილიტაცია.

2.3. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ – გაერთიანებული საბავშვო ბაღის №1,2,3,4,7 განყოფილებების ეზოების რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, №6,9,10,11 განყოფილებების და კაცხის განყოფილების შენობის საპროექტო სამუშაოები. განხორციელდება დარკვეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

3.0. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარებასთან ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გატარდება ღონისძიებები.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება და დაფინანსდება:

3.1.1. სპორტული სკოლები (პროგრამის კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – №27 კომპლექსური სასპორტო სკოლა; ა(ა)იპ – რაგბის სპორტული სკოლა; ა(ა)იპ – ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა.

3.1.1.1. აიპ №27 კომპლექსური სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ – №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 560 სპორტსმენი. საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი), რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.

3.1.1.2. ა(ა)იპ – რაგბის სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება რაგბის სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 108 სპორტსმენს. 2016 წლიდან სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს რეგიონალურ ჩემპიონატში. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;

3.1.1.3. აიპ – ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა, სადაც ვარჯიშობს 200-მდე ბავშვი. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი.

3.1.2. სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხაურების მოწყობა ნაგუთის საფეხბურთო მოედანზე და



განხორციელებს საცურო აუზის რეაბილიტაცია (ე.წ. ც.დ.ფ-ს სპორტულ კომპლექსზე). აგრეთვე განხორციელებს ქ. ჭიათურაში იაშვილის ქუჩაზე არსებული დახურულ მინი-სტადიონზე ხელოვნური საფარის შეცვლისა და დამცავი ბადეების მოწყობის საპროექტო სამუშაოები. განხორციელებს ნაგუთის დასახლებაში ტაბიძის ქუჩაზე არსებული ასფალტის საფარიანი მინი-სტადიონის რეაბილიტაცია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ნაგუთის კულტურის სახლის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ტოლსტოის ქუჩაზე საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; სოფელ ზოდში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; ჩაჩანიძის ქუჩაზე მინი სპორტული სტადიონის მოწყობა; მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე მინი-სპორტული სტადიონის მოწყობა. დაგეგმილია სოფელ ნიგოზეთში №27 სპორტული სკოლის ბალანსზე რიცხული 135მ² საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- ა) სსიპ – ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი;
- ბ) ა(ა)იპ – №1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 317-მდე მოსწავლე;
- გ) ა(ა)იპ – №2 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 193-მდე მოსწავლე;
- დ) ა(ა)იპ – სამხატვრო სკოლა. სადაც სწავლობს 35-მდე მოსწავლე;
- ე) ა(ა)იპ – ცენტრალური ბიბლიოთეკა;

3.2.1. სამუსიკო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია №1 და №2 სამუსიკო სკოლების დაფინანსება.

3.2.1.1. ა(ა)იპ – №1 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – №1 სამუსიკო სკოლა სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს – 317 ბავშვი, აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები – 71 მოსწავლე, ლაურეატი 60 მოსწავლე, მრავალშვილიანი – 29 მოსწავლე, ობოლი – 13 მოსწავლე, ლტოლვილი – 11 მოსწავლე და ესტრადის 8 მოსწავლე, ფოლკლორის – 16 მოსწავლე, ქართული ხალხური საკრავები – 20 მოსწავლე, განთავისუფლებულნი არიან სწავლის ქირის გადასახადისგან. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს – 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის – 89 მოსწავლე. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.1.2. ა(ა)იპ №2 სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – №2 სამუსიკო სკოლა სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს – 192 ბავშვი, აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები – 91 მოსწავლე, ლაურეატი – 44 მოსწავლე, მრავალშვილიანი – 20 მოსწავლე, ობოლი – 5 მოსწავლე, ლტოლვილი – 3 მოსწავლე, განთავისუფლებულნი არიან სწავლის ქირის გადასახადისგან. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს – 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის – 29 მოსწავლე. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.2. ა(ა)იპ – სახვითი ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სახვითი ხელოვნების სკოლა, სადაც სამხატვრო განათლებას იღებს 35 ბავშვი.

3.2.3. ა(ა)იპ – ცენტრალური ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ა(ა)იპ ცენტრალური



ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 28 ფილიალს.

3.2.4. სსიპ სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და საცეკვაო წრეებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მომღერალთა გუნდებს. ცენტრის საკუთარი სახსრებით ფინანსდება ხელფასი და ოფისის ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასის, ოფისის და სხვა მიმდინარე ხარჯი.

3.2.5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გრანტი მიეცემა თეატრს 2 სპექტაკლის დადგმისათვის.

3.2.6. კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება №1 და №2 სამუსიკო სკოლების შიდა სარემონტო სამუშაოები, აგრეთვე განხორციელდება კულტურის სახლის ფასადის რეაბილიტაცია.

2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდება კულტურის სახლის ეზოს შემოღობვითი სამუშაოების დასრულება. აგრეთვე განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის სასწავლო საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრის ეზოში არსებული შადრევნის რეკონსტრუქციისათვის (ორმაგი ფუნქციის მინიჭება-შადრევანი და სცენა) საჭირო საპროექტო სამუშაოები. განხორციელდება ნაგუთის კულტურის სახლის მიშენების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

მდაროელთა მოედანზე კულტურის ცენტრში ჩასასვლელ კიბეებზე ფანტანისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

კულტურის ცენტრის სახურავის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

1. წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება – აღნიშნულის მიმღებია საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებში ჭიათურის ან საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენი, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი. ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი; II ადგილი – 400 ლარი; III ადგილი – 200 ლარი;

ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 2 000 ლარი; II ადგილი – 1500 ლარი; III ადგილი – 1000 ლარი;

გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 5000 ლარი; II ადგილი – 4000 ლარი; III ადგილი – 3000 ლარი;

დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 10 000 ლარი; II ადგილი – 9000 ლარი; III – 8000 ლარი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წარმატებულ სპორტსმენთა მწვრთნელების დაჯილდოება. ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 300 ლარი; II ადგილი – 200 ლარი; III ადგილი – 150 ლარი (არაუმეტეს 500 ლარისა);

ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 1000 ლარი; II ადგილი – 700 ლარი; III ადგილი – 500 ლარი;

გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 2000 ლარი; II ადგილი – 1500 ლარი; III ადგილი – 1000 ლარი;



დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 3000 ლარი; II ადგილი – 2000 ლარი; III – 1500 ლარი.

3. წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება – დაფინანსდება ჭიათურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს ან საერთაშორისო მასშტაბით გამართულ კულტურულ-შემოქმედებით, ინტელექტუალურ კონკურსებში და მოიპოვა აღნიშნული კონკურსის დებულებით განსაზღვრული მთავარი პრიზი ან ტიტული. წარმატებული ახალგაზრდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს 500 ლარის ოდენობით.

4. ოქროსა და ვერცხლისმედალოსანი – ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო ან კერძო სკოლის მიმდინარე წლის ოქროსა და ვერცხლისმედალოსანი მოსწავლე. ოქროსა და ვერცხლისმედალოსნის ფულადი ჯილდო განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) ოქროსმედალოსანი – 150 ლარი;

ბ) ვერცხლისმედალოსანი – 100 ლარი.

5. წარჩინებული სტუდენტი – ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, რომლის შეფასება სასწავლო წლის განმავლობაში ორივე სემესტრში თითოეულ საგანში არის 95–100 ქულა და რომელიც რეგისტრირებულია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. წარჩინებული სტუდენტის ფულადი ჯილდო განისაზღვრება 1000 ლარის ოდენობით.

6. რეგიონის ან მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული ტურნირის გამარჯვებული გუნდები და ინდივიდები – ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სპორტისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების მიერ ინიცირებულ, რეგიონალურ ან მუნიციპალურ სპორტულ ტურნირებში მონაწილე გუნდები, რომლებმაც დაიკავეს I, II, ხოლო ინდივიდუალური გამარჯვებულის შემთხვევაში ასევე III ადგილი. რეგიონის ან მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული ტურნირის გამარჯვებული გუნდებისა და ინდივიდების ფულადი ჯილდო განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) I ადგილი – 300 ლარი;

ბ) II ადგილი – 200 ლარი;

გ) III ადგილი – 150 ლარი.

7. წარმატებული გუნდი – საქართველოს მასშტაბით გამართულ სპორტულ ჩემპიონატში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე გუნდი, რომელმაც დაიკავა საპრიზო ადგილი. წარმატებული გუნდის ფულადი ჯილდო განისაზღვროს: I ადგილი – 600 ლარის ოდენობით; II ადგილი – 400 ლარით;

8. ახალგაზრდული ინიციატივა – ახალგაზრდული პროექტი, რომლის ინიციატორიც არის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 16-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ან ახალგაზრდების ჯგუფი და ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საქმიანობის მიზნებს. ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების თანხა განისაზღვრება არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით.

9. ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა.

10. სპორტისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების პროგრამებით გათვალისწინებულ, ინტელექტუალურ-შემოქმედებით და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

3.4. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გასართობი ღონისძიებების ორგანიზება („ბასტი-ბუბუს“



კონცერტის გამართვა და ჭიათურის მანსანკანის გუნდის დაფინანსება), აგრეთვე პროექტ „ღია ცის ქვეშ კინოფილმების ჩვენების“ დაფინანსება.

4.0. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

4.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

ა) არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

ბ) დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

დ) სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ე) ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

ვ) მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

4.1.1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (06 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახურის“ დაფინანსებას.

4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1. ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება;



ბ) პროგრამულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება;

გ) მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;

დ) სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება;

ე) რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება.

4.2.1.1. სამკურნალო-საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ხარჯების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურების ხარჯები:

ა) გადაუდებელი და გეგმური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ბ) ექიმის დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების, მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევის ხარჯები. ასევე დაფინანსდება იმ ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული თუ მაღალტექნოლოგიური კვლევის განხორციელების პროცესში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;

გ) ამბულატორიულ ან/და სტაციონარულ დონეზე ჩასატარებელი გეგმური სამედიცინო სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროცედურების ხარჯები, მხოლოდ ნერვკუნთოვანი დაზიანების მქონე პაციენტებისათვის 0-დან 14 წლამდე, ხოლო მოზრდილებისათვის მძიმე ფორმის შეძენილი ნერვკუნთოვანი დაავადების ან/და ტრავმის შედეგად განვითარებული ნერვკუნთოვანი დაზიანების შემთხვევაში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

დ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კერძოდ: ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ე) მშობიარობის, გართულებული მშობიარობისა და სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით;

ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე.

4.2.1.2. პროგრამულ ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 02)

ქვეპროგრამით განსაზღვრულ ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება, გაიცემა ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე. აღნიშნული დახმარებით სარგებლობენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს ფაქტობრივად მცხოვრები პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით და წარმოადგენენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.

4.2.1.3. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 03)



ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის (პირველი ჯგუფის) მქონე პირებს, კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა სეზონის მიხედვით: 01 ნოემბრიდან 01 მაისამდე – ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით; 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე – ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით;

ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის და 18 წლამდე ასაკის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად – 100 ლარის ოდენობით.

4.2.1.4. სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/5 ბრძანებით განსაზღვრულ სიცოცხლისათვის საშიშ და „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი 17.2-ით განსაზღვრულ იშვიათი დაავადების მქონე მოქალაქეებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით მხოლოდ დაავადების პირველი ტიპის მქონე პაციენტებს. სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე პაციენტების სარეიტინგო ქულა უნდა აღემატებოდეს 120000 ქულას.

4.2.1.5. რადიაქტიული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, რადიაქტიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

4.2.2. ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთის ომის და მეორე მსოფლიო ომის მებრძოლთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 250 ლარს.

4.2.3. უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი, ფიზიკური ან/და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირების და მარტოხელა პირების (რომელთა ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და რომელსაც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სოფლის შინამეურნეობისაგან შემოსავალი) კვებით უზრუნველყოფა. მომსახურება გაეწევა 165 ბენეფიციარს.

4.2.4. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

ა) ხარდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ბ) დევნილთა სოციალური დაცვა;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

დ) მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება.



4.2.4.1. ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემათ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულებს (95 წელი და ზევით) ერთჯერადად წელიწადში 500 ლარის ოდენობით.

4.2.4.2. დევნილთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაეწევა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილებს.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100 ლარს.

4.2.4.3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.

4.2.4.4. მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულ პირს (ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე). დახმარება გაიცემა ერთჯერადად, წლის განმავლობაში 100 ლარის ოდენობით.

4.2.5 ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიწევა შემდეგი სოციალური დახმარება:

- ა) ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა;
- გ) შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა;
- დ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება.

4.2.5.1. ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:

- ა) პირველი შვილის დაბადებისას – 100 ლარი;
- ბ) მეორე შვილის დაბადებისას – 150 ლარი;
- გ) მესამე შვილის დაბადებისას – 200 ლარი;
- დ) მეოთხე შვილის დაბადებისას – 300 ლარი;
- ე) მეხუთე შვილის დაბადებისას – 350 ლარი;
- ვ) მეექვსე შვილის დაბადებისას – 500 ლარი;
- ზ) მეშვიდე შვილის დაბადებისას – 700 ლარი;
- თ) მერვე და შემდგომი შვილის დავადებისას – 1000 ლარი;
- ი) ტყუპების დაბადების შემთხვევაში დამატებით – 500 ლარი.



ამ პუნქტებით განსაზღვრული დახმარების მიმღებია ქიათურის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქე.

4.2.5.2. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი). გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე.

4.2.5.3. შეჭირვებულ ოჯახთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს:

- ა) შემოსავლის გარეშე მყოფ მარტოხელა მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები);
- ბ) შემოსავლის გარეშე მყოფ არასაპენსიო ასაკის მარტოხელა პირებს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და შვილები;
- გ) შემოსავლის გარეშე მყოფ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;
- დ) შემოსავლის გარეშე მყოფ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი (ბავშვები);

ამ პუნქტებით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

4.2.5.4. მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05 04)

ე) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე იმ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთა ბინის ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია და საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის. დახმარება გაიცემა საცხოვრებელი უზრუნველსაყოფად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად დროებითი გამოსახლების დღიდან პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებამდე, შემდეგი სახით:

- ა) ერთ და ორსულიან ოჯახებზე – 100 ლარის ოდენობით;
- ბ) სამ და ოთხსულიან ოჯახებზე – 150 ლარის ოდენობით;
- გ) ხუთ და მეტსულიან ოჯახებზე – 200 ლარის ოდენობით.

4.2.6. სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრული დახმარების ბენეფიციარია ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული მოქალაქე, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი ან/და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში-გარდაცვლილის ოჯახი. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. დამხმარე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს.

4.2.7. ომის ვეტერანთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება ერთჯერადად მიეცემა ქიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის



ოდენობით, ხოლო ავღანეთის ომის მონაწილეებს, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.

4.2.8. რეგრესის პენსიები (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში მთავრობის განკარგულების საფუძველზე დახმარება მიეცემა ყოფილ ს/ს ჭიათურმანგანუმში მუშაობის შედეგად მიღებული ფიზიკური ტრავმების შედეგად დაზარალებულ პირებს.

